

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



## დევნილების პროექტი

დევნილების უფლებების დაცვის მიმართულებით საია წლების განმავლობაში სხვადასხვა პროექტს ახორციელებდა. ამჟამად მიმდინარეობს პროექტი -  დაკავშირებული პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის ინოვაციური გზები A პროექტი დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მიერ და ხორციელდება ლტოლვილთა დანიის საბჭოს (DRC) მეშვეობით.

პროექტი რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება და მასში ჩართულია საიას სამი ოფისი - თბილისის, გორის და ქუთაისის.

მიმართულებები:

**1. ადამიანის უფლებების დაცვა, დაცვის მექანიზმების განვითარება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

აღნიშნული მიმართულებით პროექტი მოიცავს შემდეგ აქტივობებს:

- ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციების განწევა
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება
- საადვოკატო მომსახურება
- მობილური ვიზიტები დევნილთა კოლექტიურ ცენტრებში და ახალ ჩასახლებებში

2012 წლის განმავლობაში იურიდიული დახმარების კუთხით დევნილთათვის განეული საქმიანობა რაოდენობრივად ასე გამოიყურება:

ინდივიდუალური იურიდიული კონსულტაციები \_2689;

სამართლებრივი დოკუმენტები - 298;

ახალი საადვოკატო საქმეები \_17;

მობილური ვიზიტები \_ 114.

**2. საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის ამაღლება**

პროექტის მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირთა ცნობიერების ამაღლება მათ უფლებებთან მიმართებაში, რაც გამოიხატება შემდეგ აქტივობებში:

- ბროშურების მომზადება და გავრცელება
- მრგვალი მაგიდების მოწყობა დევნილთათვის აქტუალურ საკითხებზე.

**3. სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას ანგარიშვალდებულებებისა და გამჭვირვალობის პრინციპების პრიორიტეტულობისა და დაცვის უზრუნველყოფა**

იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების საკოორდინაციო შეხვედრების ორგანიზება და ჩატარება, ერთობლივი საინფორმაციო და ადვოკატირების კანპანიების წარმართვა

აქტიური და კონსტრუქციული მონაწილეობა სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



შექმნილ ექსპერტთა ჯგუფებში

- დევნილთა გამოსახლების პროცესის მონიტორინგი

## გამოცემები:

კვლევები:

კვლევა - ~~სახელმწიფო პოლიტიკა დევნილთა მიმართ (ხარვეზების ანალიზი)~~ № 2011  
წელი;

ბროშურები:

- „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“
- „სახელმწიფო პენსიის შესახებ“
- „~~დევნილთათვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემა~~“
- ~~საცხოვრებლის უფლება და დევნილთა დაუსაბუთებელი გამოსახლებისაგან დაცვის გარანტიები~~“
- „სამედიცინო დაზღვევის შესახებ“
- „~~დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა~~“